საქართველოს პარლამენტის
აპარატის
იურიდიული დეპარტამენტი

თბილისი 0118, რუსთაველის გამზ. №8
ტელ: (995 32) 2281394
ელ. ფოსტა: legaldep@parliament.ge

საქართველოს პარლამენტი

LEGAL DEPARTMENT
OF STAFF OF
PARLIAMENT OF GEORGIA

8 Rustaveli Avenue, 0118,Tbilisi,Georgia,
(995 32) 2281394
e-mail: legaldep@parliament.ge

№ 18
„20“ „02“ 2023 წ.

დასკვნა

საქართველოს პარლამენტის წევრების - სოზარ სუბარის, მიხეილ ყაველაშვილის, დიმიტრი ხუნდაძის, გურამ მაჭარაშვილის, ვიქტორ ჯაფარიძის, ირაკლი (დაჩი) ბერაიას, ეკა სეფაშვილის, დავით კაჭარავას და ზაალ მიქელაძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის (№07-3/293; 14.02.2023) საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 102-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად განხილვის თაობაზე

საქართველოს პარლამენტის აპარატის იურიდიულმა დეპარტამენტმა საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 102-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად განიხილა საქართველოს პარლამენტის წევრების - სოზარ სუბარის, მიხეილ ყაველაშვილის, დიმიტრი ხუნდაძის, გურამ მაჭარაშვილის, ვიქტორ ჯაფარიძის, ირაკლი (დაჩი) ბერაიას, ეკა სეფაშვილის, დავით კაჭარავას და ზაალ მიქელაძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი (№07-3/293; 14.02.2023) და აღნიშნავს შემდეგს:

საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგნილი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მე-9 მუხლის (პასუხისმგებლობა) მე-10 პუნქტის მიხედვით - შესაბამისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენს შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა ამ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენიდან მხოლოდ 6 წლის განმავლობაში. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლი (ადმინისტრაციული სახდელის დადების ვადები) ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების განსხვავებულ ვადას ითვალისწინებს. ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში სათანადო ცვლილების ამსახველი პროექტი წარმოდგენილ კანონპროექტს თან არ ახლავს. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით კანონპროექტს ასევე უნდა დაერთოს პროექტი იმ საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის შესახებ, რომელში ცვლილების შეტანასაც იწვევს კანონპროექტი, და ისინი წარდგენილი უნდა იქნეს საკანონმდებლო პაკეტის სახით. აღნიშნულიდან გამომდინარე, პარლამენტის აპარატის იურიდიული დეპარტამენტი რეკომენდაციით მიმართავს პარლამენტის ბიუროს იმსჯელოს ზემოხსენებული კანონის პროექტის განხილვის პროცედურების დაწყების მიზანშეწონილობის თაობაზე.

ალექსანდრე ტაბატაძე
დეპარტამენტის უფროსი